ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1619200

ნომერი: AR1263779

თარიღი : 06.11.2014

გაცემის თარიღი : 01.12.2014

გაცნობის თარიღი : 01.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 27 , (ნაკვ. 5/14) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 27 , (ნაკვ. 5/14) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი პეკინის გამზ. N 45 ბ. 14

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 14.08.2007 წ. #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06.11.2014 წ. #AR1263779 განცხადებით მომართა ზურაბ აბზიანიძემ და მოითხოვა 14.08.2007 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა რომ ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. #27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.17.10.005.014, ფართობი 3673 კვ.მ.) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე) აშენების მიზნით ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული იქნა #9298

(14.082007 წ.) ქალაქთმშენებლობითი პირობები. აღნშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაიცა #01.17.10.005.014 საკადასტრო ერთეულზე, ფართობით: 3673 კვ.მ..
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერები და საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.17.10.005.064 ფართობი – 2173 კვ.მ. და საკადასტრო ერთეული #01.17.10.005.063 ფართობი – 1500 კვ.მ.), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულს შეცვლილი აქვს მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 14.08.2007 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #9298 ქალაქთმშენებლობით პირობები გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამსახურის 14.08.2007 წ. #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ დაფიქსირდეს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი #01.17.10.005.064 ფართობი: 2173 კვ.მ. და საკადასტრო ერთეული #01.17.10.005.063 ფართობი – 1500 კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამსახურის 14.08.2007 წ. #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 3673 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - #01.17.10.005.063 და #01.17.10.005.064;
3. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამსახურის 14.08.2007 წ. #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში დამკვეთად დაფიქსირდეს: შპს „თაკე“ და შპს „ვაზისუბანი 15“;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამსახურის 14.08.2007 წ. #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.